საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

“ბავშვთა საკითხები მედიაში”

მონიტორინგის პერიოდი:
1 ივნისი - 1 სექტემბერი

2013 წელი

თბილისი

2013

www.qartia.org.ge

www.unicef.ge

შინაარსი:

1. პროექტის მიმოხილვა
1.2. ავტორების შესახებ
1.3. ამოცანები
1.4. მეთოდოლოგია
1.5. მონიტორინგის ობიექტები
2. შედეგების ზოგადი შეფასება
2.2. რაოდენობრივი მონაცემები
2.3. თვისობრივი ანალიზი/ძირითადი ტენდენციები
3. გამოკვეთილი დარღვევები და რეაგირება
3.2. ტელეკომპანიები
3.3. ონლაინ მედია
3.4. პრესა
4. დასკვნა
5. რეკომენდაციები

ანგარიშში ინფორმაცია წარმოდგენილია შინაარსის მიხედვით.

1. პროექტის მიმოხილვა

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს "ბავშვთა საკითხები მედიაში". პროექტი ორი ნაწილისაგან შედგება: მედიის მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების საზოგადოებრივი განხილვა.

მონიტორინგის მიზანი ელექტრონულ და ონლაინ მედიაში, ასევე პრესაში, ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა, ბავშვთა აღიარებულ უფლებებთან, ეთიკურ ნორმებთან და პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა და ანალიზი იყო.

დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რეაგირების თხოვნით, განცხადებით მიმართავდა მედიასაშუალებებს.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2013 წლის 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შეჯამებას და მასში შეფასებულია სხვადასხვა ტიპის მედიის თავისებურებები, დეტალური ანალიზი, გამოკვეთილი დარღვევები, რეაგირება და რეკომენდაციები.

1.2.ავტორების შესახებ

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია არის დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს მასშტაბით ასობით ჟურნალისტს საერთო ეთიკური პრინციპების გარშემო. ორგანიზაციის მიზნებია: მედიაში პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დანერგვა და ხელშეწყობა, მედიაწიგნიერების ამაღლება, საზოგადოების ნდობის გაზრდა მედიის მიმართ. ამ მიზნების მისაღწევად ქარტია ეწევა საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით, რომელთა შორისაც ერთ-ერთია მედიის მონიტორინგი.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია დაარსდა 2009 წელს და დღეისთვის მისი წევრების რაოდენობა 250-ზე მეტია.

გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წელს და

მიიღო მანდატი, დაიცვას ბავშვთა უფლებები, დაეხმაროს ბავშვებს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და მათი შესაძლებლობების სრულად რეალიზაციაში.

იუნისეფი ხელმძღვანელობს ბავშვის უფლებათა კონვენციით და იღწვის, რათა ბავშვთა უფლებები დამკვიდრდეს, როგორც მყარი ეთიკური პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტები ბავშვებთან მიმართებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდი მიუკერძოებელი ორგანიზაციაა და მისი მოღვაწეობა თავისუფალია ყოველგვარი დისკრიმინაციისგან.

1.3.პროექტის ამოცანები

- საზოგადოების ინფორმირება, თუ რამდენად იცავს მედია ბავშვთა უფლებებს, პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს, ბავშვებზე რეპორტაჟის/სტატიის/ინფორმაციის მომზადებისას.
- ამ მიმართულებით მედიაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და რეაგირება.
- ბავშვთა საკითხები პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვით გაშუქების ხელშეწყობა.

1.4. მეთოდოლოგია

პროექტის საწყის ეტაპზე ქარტიამ შერჩეული მონიტორებისთვის უზრუნველყო ტრენინგი ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტებზე. მონიტორებისთვის სახელმძღვანელო პრინციპებად შეირჩა:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
- ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებული მითითებები და პრინციპები, რომელიც ეხება ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია
- ბავშვთა საკითხების მედიაში გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპები
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსი [1]

[1] "ბავშთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები" http://unicef.ge/uploads/_____.pdf

სწორედ ჟურნალისტური ნამუშევრის ზემოთ ჩამოთვლილ სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობას სწავლობდნენ ქარტიის მონიტორები 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე.

მონიტორინგი არ მოიცავდა რაიმე სახის რაოდენობრივ ანალიზს, (მხოლოდ საერთო მოცულობისა და თემატური გადანაწილების მონაცემებს) მოიცავდა მხოლოდ მედიაში ბავშვების შესახებ გამოქვეყნებული მასალის თვისობრივ ანალიზს.

პროექტის ავტორების განზრახვით, არ ყოფილა წინასწარ შერჩეული რამდენიმე მედიასაშუალება, არამედ მონიტორები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აკვირდებოდნენ ყველა იმ პუბლიკაციას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეეხებოდა ბავშვებს.

1.5. მონიტორინგის ობიექტები

- ტელეკომპანიები
- ონლაინ მედია
- პრესა

2. შედეგების ზოგადი შეფასება

2.1. რაოდენობრივი მონაცემები

სამონიტორინგო პერიოდის განმავლობაში ქარტიის მონიტორებმა ნახეს და შეისწავლეს სულ 2 297 ნამუშევარი, როგორც სიუჟეტები და სტატიები, ისე მოკლე ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა ბავშვებს.



სამონიტორინგო პერიოდის განმავლობაში თემატურად ყველაზე მეტად კრიმინალთან და სამართალთან დაკავშირებული თემები გაშუქდა, მედია ნაკლებ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიც განათლება და ჯანმრთელობის დაცვაა. ამავე დროს, რაოდენობრივად ყველაზე მეტი ნამუშევარი მოხვდა კატეგორიაში "სხვა", რომელიც ყველა ტიპის მედიაში გამოქვეყნებულ ისეთ მოკლე ინფორმაციულ შენიშვნებს აერთიანებს, რომელიც კონკრეტულ თემატურ ჯგუფს არ მიეკუთვნება [2] [3]

[2] მრგვალი, ე.წ. სექტორული დიაგრამა ასახავს თემატური გადანაწილების პროცენტულ მაჩვენებელს.

[3] თითოეული თემატური მაჩვენებელი დიაგრამებზე აღნიშნულია ერთი და იგივე ფერით


სოციალური
9%
სპორტი
2%
კულტურა
2%
კრიმინალი/
სამართალი
30%
სხვა
36%
ჯანდაცვა
10%
განათლება
11%
თემატური
გადანაწილება
(საერთო)


ტელეკომპანიები
2%
2%
12%
14%
13%
13%
44%
კრიმინალი/სამართალი
ჯანდაცვა
განათლება
სხვა
კულტურა
სპორტი
სოციალური





2.2.თვისობრივი ანალიზი/ძირითადი ტენდენციები

ქარტიის მონიტორებმა მედიის ანალიზი დაიწყეს 1 ივნისიდან. დეტალური დაკვირვება დასრულდა 1 სექტემბერს. მონიტორინგის სამთვიანი

პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები, რომელიც შეიძლება დავაჯგუფოთ ორი მიმართულებით: საერთო ტენდენცია მედიის ყველა ტიპისთვის და განსხვავებული ტენდენცია მედიის ტიპების მიხედვით.

- ახალი ამბების ერთფეროვნება და მსგავსება.
- კანონთან კონფლიქტში მყოფი, ძალადობის მსხვერპლი ან ოჯახური ტრაგედიის მონაწილე ბავშვების ირიბი იდენტიფიცირება (რაც მონიტორინგის დასასრულისთვის თითქმის აღარ გვხდება)
- იშვიათი გამონაკლისების გარდა, ბავშვთა საკითხების ზედაპირული გაშუქება.
- ბავშვების ქველმოქმედებისა და სარეკლამო მასალების ობიექტებად გამოყენება.
- ბავშვების ჩართვა პოლიტიკაში, მათი სახით პოლიტიკური სუბიექტების კრიტიკა.
- ბავშვთა საკითხების სენსაციური და დრამატიზებული გაშუქება (განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება კრიმინალსა და სოციალურ სფეროს).
- მეტი ემოციურობის შესაძენად ვიდეო რეპორტაჟებში მუსიკალური გაფორმებისა და სპეციალური ეფექტების გამოყენება.
- არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებით).
- პირადი, ოჯახური ტრაგედიებით დაინტერესება.
- ოფიციალური პრესრელიზების უცვლელი სახით გამოყენება.

აქედან, ბავშვების პოლიტიკაში ჩართვა და მათი მეშვეობით პოლიტიკური სუბიექტების კრიტიკა, განსაკუთრებით დამახასიათებელია პრესისთვის. მსგავ პრაქტიკას ონლაინ მედია და ტელეკომპანიები ნაკლებად მიმართავენ.

ვიდეორეპორტაჟებში, მეტი ემოციურობისთვის, მუსიკალურ გაფორმებასა და ეფექტებს ნაკლებად იყენებენ ტელეკომპანიები, ეს ტენდენცია მეტად გამოკვეთილია ზოგიერთი ონლაინ მედიასაშუალების მულტიმედია პროდუქტში.

არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენება ხშირად გვხდება ამგვარი კუთხით: "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ჯანმრთელი ბავშვები",

"უნარშეზღუდული ბავშვები. პრესა ძირითად შემთხვევებში იყენებს ტერმინს "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე", თუმცა როდესაც ამბავი ეხება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ისე არმქონე მოზარდებს, ზოგჯერ გვხდება სიტყვა "ჯანმრთელი". სიტყვა „ჯანმრთელის" გამოყენება ტერმინ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონეს" საპირწონედ სხვა არაფერია, თუ არა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დისკრიმინაციაა.

საინფორმაციო სააგენტოები და პორტალები უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა სახის პრესრელიზებს თითქმის უცვლელი სახით. ქარტიის მიერ აღმოჩენილ დარღვევებზე მედიასაშუელებებისთვის გაგზავნილი განცხადებების უმრავლესობა სწორედ ასეთ შემთხვევას ეხებოდა. ერთ-ერთი უწყების პრესრელიზში "გაპარული" სახელი და გვარი სააგენტოებმა უცვლელად გადაიტანეს, ისე რომ ყურადღება არ მიაქციეს იმ ფაქტს, რომ სამინისტროს ინფორმაციაში ბრალდებულიცა და ერთ-ერთი მსხვერპლიც ინიციალებით იყვნენ მოხსენიებულნი და მხოლოდ მეორე მსხვერპლის ვინაობა იყო გაცხადებული.

მონიტორინგის სამთვიანი პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა კიდევ ერთი საერთო ტენდენცია - მედია ბავშვთა საკითხებით უმეტესწილად ინტერესდება:

1. კონკრეტულ თარიღებში. მაგ. 1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
2. მიმდინარე ახალი ამბის დროს. მაგ: არასრულწლოვნის მკვლელობა ბათუმში

ივნისისა და ივლისის თვეებში სწორედ ამ ორმა ფაქტორმა განსაზღვრა ბავშვებთან დაკავშირებული ამბების რაოდენობრივად მაღალი მაჩვენებელი. სხვა პერიოდებში მედია ნაკლებ დროს უთმობს ბავშვებს და ისეთ თემებს, რომელიც არ არის მიმდინარე ახალი ამბები, თუმცა მნიშვნელოვანი და აქტუალურია. მაგ.განათლება და ჯანმრთელობის დაცვა.

1 ივნისი, ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი ტენდენციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ბავშვთა საერთაშორისო დღეს მედიაში ბავშვები ვერ ხდებიან ამბების მთავარი გმირები, არამედ ხდებიან საქველმოქმედო და

სარეკლამო ობიექტები. ყველა ტიპის მედიასაშუალება ამ დღეს და მთლიანად ივნისის პირველ კვირაში ბავშვებთან დაკავშირებით ყველაზე მეტ დროს უთმობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ, სად და როგორ მოინახულა ბავშვები; მიუტანა საჩუქრები და ა.შ. ეკრანებსა და სტატიებში რომელიმე სახელმწიფო უწყების ან კერძო კომპანიის ვიზიტისას ნახსენები ბავშვებით მედია იმ დღის შემდეგ, როგორც წესი, აღარ ინტერესდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის დადებითი ტენდენციაც, რაც მონიტორინგის განმავლობაში გამოიკვეთა.

თუკი ჯერ კიდევ მონიტორინგის დასაწყისისთვის, განსაკუთრებით ონლაინ მედიაში გვხდებოდა კანონთან კონფლიქტში მყოფი, ძალადობის მსხვერპლი ან ოჯახურ ტრაგედიასთან დაკავშირებული ბავშვებისა და მოზარდების ირიბი იდენტიფიცირება, მონიტორინგის დასრულების პერიოდისთვის მსგავსი პრობლემა აღარ გვხდება.

უნდა ითქვას, რომ ქართული მედია ბავშვთა საკითხების გაშუქებას დღეს შედარებით მეტი სიფრთხილით ეკიდება, ვიდრე როდესმე.

3. გამოკვეთილი დარღვევები და რეაგირება

მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი გამოკვეთილი დარღვევების შესახებ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია რეაგირების თხოვნით განცხადებით მიმართავდა უშუალოდ მედიასაშუალებებს. მოვიყვანთ, ეთიკური გადაცდომის რამდენიმე მაგალითს:

<u>ტელეკომპანიები:</u>

- 1 ივნისს, "მეცხრე არხის" დილის გადაცემის ერთ-ერთი სიუჟეტი კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ბავშვებს ეხება. ერთ-ერთი რესპონდენტი ბავშვი დეტალურად იხსენებს მისი სახლის დაბომბვის ისტორიას. ყვება როგორ დაშავდა მისი ბაბუა დაბომბვის შედეგად. მეორე რესპონდენტი არასრულწლოვანი კი იხსენებს, როგორ გადაურჩა სიკვდილს.

მედიასაშუალებამ და ავტორმა არ/ვერ გაითვალისწინეს, რომ როდესაც ჟურნალისტი ბავშვს სთხოვს, კამერის წინ კიდევ ერთხელ გაიხსენოს მის

თვალწინ დატრიალებული ტრაგედიები, ამით იქმნება საფრთხე, მოხდეს ბავშვის რეტრავმატიზაცია.

- ასევე ივნისში, “მეცხრე არხის” ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა მოკლე ინფორმაცია საქველმოქმედო აქციაზე. ინფორმაციის მიხედვით, ორგანიზაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ წარმომადგენლებმა ტუბერკულოზის ცენტრის პაციენტ ბავშვებს წიგნები, ტკბილეული, მაისურები და საკანცელარიო ნივთები აჩუქეს. არ ყოფილა ბავშვების ინტერვიუები, არც მათი ვინაობა დასახელებული, თუმცა არასრულწლოვანი პაციენტები ჩანდნენ უფროსი რესპონდენტების ფონზე.

მონიტორთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ იმდენად, რამდენადაც ტუბერკულოზის მქონე ადამიანები საკმაოდ სტიგმატიზებული ჯგუფია, მედია მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მსგავს მასალებს, განსაკუთრებით როდესაც საქმე ბავშვებს ეხება.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში გაშუქდა კახეთში არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტი. კადრებში, ზოგად ფონზე მყოფი ბავშვების სახეები დაფარული იყო, თუმცა დაუფარავად იყო წარმოდგენილი დედის ინტერვიუ, რომელიც შვილზე ძალადობის დეტალებს ყვებოდა. ინტერვიუს თან ახლდა ტიტრიც დედის ვინაობით. დედის ჩვენებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შექმნა ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის იდენტიფიცირების ძალიან რეალური საფრთხე, რაც დაუშვებელია, როგორც მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, ისე უშუალოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსითა და ყველა ეთიკური ნორმით.

ინფორმაციის ეთერში გასვლისთანავე, საზოგადოებრივ მაუწყებელს მიმართა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ, რის შემდეგაც “მოამბის” არცერთ გამოშვებაში მსგავსი შეცდომა არ გამეორებულა, დარღვევით მომზადებული რეპორტაჟი კი მაუწყებელმა ინტერნეტ არქივიდან აიღო.

- საზოგადოებრივი მაუწყებლისა და “იმედის” საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა ამბავი ოზურგეთში გარდაცვლილი მცირეწლოვნისა და მისი ოჯახის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ

საქმის მიმართ არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შვილის კუბოსთან მოტირალი დედის ინტერვიუსა და კადრების ეთერში გასული ფორმით ჩვენება არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ აუცილებლობას, რადგან ანალოგიურ ინფორმაციას მედიას აწვდიდნენ ოჯახის ახლობლებიც.

მწუხარებისა და ტრაგედიის მომენტში ადამიანის ჩვენებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, როგორც მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, ისე უშაულოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი.

- აგვისტოს თვეში, ყველა ტელევიზიით გაშუქდა სპორტის სასახლესთან მომხდარი ინციდენტი, რომელშიც 16 წლის მოზარდიც მონაწილეობდა. ტელეკომპანიების უმრავლესობამ ინფორმაცია ისე მიაწოდა მაყურებელს, რომ მოზარდის იდენტიფიცირება არ მომხდარა. შეცდომა დაფიქსირდა "იმედის" სიუჟეტში, რომელშიც მოზარდის ვინაობა არ გამოცხადებულა, თუმცა ერთ-ერთ კადრში მისი სახე არაა დაფარული. მართალია კადრი შორი ხედითაა, თუმცა იდენტიფიცირების საფრთხეს მაინც ქმნის.

კრიმინალური შემთხვევების გაშუქებისას, მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული არასრულწლოვანის პირადი ცხოვრება. ნებისმიერი სახით მათი იდენტიფიცირება იწვევს მოზარდების სტიგმატიზაციას და საფრთხეს უქმნის მათ მომავალ ცხოვრებას. [4]

<u>ონლაინ მედია</u>

- ინტერნეტ მედიაში თბილისში მომხდარ შემთხვევაზე, როდესაც გამოძიების ინფორმაციით, მამამ მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი მოკლა, 11 მასალა მომზადდა. ამ საკითხზე მასალები ძირითადად ივნისის თვეში გამოქვეყნდა. მათგან, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მედიამონიტორთა ჯგუფის აზრით, 4 მასალა ჟურნალისტური ეთიკის დარღვევებით მომზადა - იდენტიფიცირებული იყო მსხვერპლის (დედის) სახელი და გვარი. როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, გარდა გარდაცვლილი მცირეწლოვანი ბავშვისა, ცოლ-ქმარს კიდევ 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

[4] ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაზე ქარტიამ მიმართა მედიასაშუალებებ. მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ შენიშვნა გაიზიარა და შესაბამისი რეაგირებაც მოახდინა.

ოთხივე მედიასაშუალებაში ("ინფო 9", სააგენტო "პირველი", სააგენტო "ჯეონიუსი", სააგენტო "ნიუს.გე")გაიგზავნა **განცხადება** ქარტიიდან, რომელშიც დასაბუთებული იყო, თუ რატომ არ უნდა მოეხდინა მედიას მსხვერპლისა და ბრალდებულის იდენტიფიცირება.

ოთხივე სააგენტომ ინფორმაცია შეასწორა და ვებგვერდზე შეცვლილი სახით განათავსა.

- ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტადების დარღვევით იყო მომზადებული www.presa.ge- ს მასალაც, რომელიც სამეგრელოში 12 წლის გოგონას გაუპატიურებას ეხებოდა. სტატიაში ნახსენები იყო დაზარალებული ოჯახის გვარი, რაც მსხვერპლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ქმნის

ქარტიამ განცხადებით მიმართა პრესა.გე-ს რედაქციასაც. ამ დროისთვის სტატია შესწორებულია.

- მონიტორთა ჯგუფის ყურადღების ცენტრში მოექცა "პალიტრა ტვ-ს" ვებგვერდზე გამოქვეყნებული ორი ვიდეორეპორტაჟი. "უდედმამოდ დარჩენილი 6 და-ძმა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს". სიუჟეტში ნაჩვენებია, როგორ იზრდებიან ობოლი და-ძმები (მათ შორის არასრულწლოვნები). ბავშვები სრულად იდენტიფიცირებულები არიან. გამოყენებულია ახლო ხედებიც (ხოლო პატარა და-ძმების შემთხვევაში ფოტო სურათები). კადრები სევდიანი მუსიკითა გაფორმებული, გამოყენებულია ეფექტებიც, რაც პრობლემას ხელოვნურ სიმწვავეს მატებს.

ვიზუალური მხარის გარდა, არ არის შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზა - რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მასალა სენსაციაზე, მაყურებლის გრძნობებსა და ემოციებზეა ორიენტირებული და არა პრობლემის რეალურ, ღრმა, მრავალმხრივ გაშუქებაზე.

- ასევე "პალიტრა-ტვ-ს" ვებგვერდზე გამოქვეყნდა ვიდეო სახელწოდებით "დამბლით დაავადებული გოგონა და 5 სულიანი ოჯახი, რომელიც აბაზანაში ცხოვრობს". სიუჟეტი, სოციალურად გაჭირებულ ოჯახს ეხება. მასალის მიხედვით დედა 4 მცირეწლოვან შვილთან ერთად აბაზანაში ცხოვრობს. სიუჟეტში ნაჩვენებია

> ცელემბრალური დამბლის მქონე 15 წლის უსინათლო გოგონა. გამოყენებულია მისი ახლო ხედები, კადრები, რომლებშიც კარგად ჩანს ჯანმრთელობის პრობლემით გამოწვეული სირთულეები (როგორ უჭირს მას საკვების მიღება, ჩაცმა და სხვ.) ასევე, სიუჟეტის ბოლოს ცნობილი ხდება, რომ ოჯახის სარჩენად დედა მას ამათხოვრებს.

ისედაც მძიმე სურათს ემატება სევდიანი მუსიკა, რომელიც მთელ სიუჟეტს ფონად გასდევს და კიდევ უფრო ამძიმებს მაყურებლის შთაბეჭდილებას.

ბავშვის იდენტიფიცირება, მისი ახლო ხედით გადაღებული კადრების გამოყენება, სიუჟეტის ვიდეო ეფექტებითა და სევდიანი, სენტიმენტალური მუსიკით გაფორმება, ქმნის შეგრძნებას რომ მასალა მაყურებლის გრძნობებსა და ემოციებზე შთაბეჭდილების მოხდენაზეა ორიენტირებული. სიუჟეტში არ ჩანს მცდელობაც კი, რომ ავტორს გაერკვია, თუ რას აკეთებს მისი სიუჟეტის გმირისთვის სახელმწიფო, ის სტრუქტურები, რომელსაც მსგავსი პრობლემის მქონე მოზარდებზე მზრუნველობა ევალება.

ქარტიამ განცხადებით მიმართ “პალიტრა ტვ-ს” რედაქციას, რომელმაც პასუხში სიუჟეტის მსგავსი ფორმით მომზადება ახსნა იმით, რომ რეპორტაჟის გმირებს სიუჟეტის გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოება დაეხმარა.

<u>პრესა</u>

პრესის შემთხვევაში, გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით ქარტია გამოცემების რედაქციებს შენიშვნის რეკომენდაციის სახით გათვალისწინებას სთხოვდა. მონიტორინგის პერიოდში ქარტიამ მიმართა შემდეგ მედიასაშუალებებს: “ყველა სიახლე”, “თბილისელები”, “რეზონანსი”, “გზა” “ასავალ-დასავალი”, საქართველოს რესპუბლიკა”, “ალია” “ლელო”, “კვირის პალიტრა”.

მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

- „რატომ არ მოსწონთ ხადურის შვილებს ნათელაშვილი და „ქრისტიან-დემოკრატები?", ინტერვიუ ფინანსთა მინისტრის შვილებთან, რომელიც გაზეთმა „ყველა სიახლემ"ივლისის თვეში გამოაქვეყნა. ჟურნალისტი 8 და 6 წლის ბავშვებს პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე, ასევე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებზე ესაუბრება.

- ანალოგიური ხასიათისაა ივნისში გაზეთ "ასავალ-დასავალში" გამოქვეყნებული ინტერვიუ კოალიცია ქართული ოცნების წევრის, ზაქარია ქუცნაშვილის 15 და 10 წლის შვილებთან სათაურით : - „რატომ უწოდებენ ზაქარია ქუცნაშვილის შვილები „ნაციონალურ მოძრაობას" დამანგრეველს და რას ურჩევენ სააკაშვილს?"

ორივე შემთხვევაში ბავშვები გამოყენებულნი არიან პოლიტიკური ფიგურების დასაკნინებლად. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ბავშვის ექსპლუატაცია, მისი გამოყენება, თანაც იმ ფორმით, რომელიც ლახავს მათ პატივსა და ღირსებას, ახდენს მათ სტიგმატიზებას და უქმნის, როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური შეურაცხყოფის საშიშროებას, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილისგან. რაც, ასევე, მეტად მნიშვნელოვანია, მასალა იგივე საფრთხეების ქვეშ აყენებს იმ ადამიანების შვილებს, ვისაც ინტერვიუში პატარა რესპოდენტებს ალანძღვინებენ. ამას არ აქვს გამართლება იმ შემთხვევაშიც, თუკი თანხმობა ამ ტიპის ინტერვიუზე მშობლებისგან იყო მიღებული.

- ივნისში, გაზეთ "კვირის პალიტრაში" დაიბეჭდა სტატია სათაურით "მერე მამამ ესროლა..."

სტატიაში რამდენიმე ამბავია მოთხრობილი.

პირველ ამბავში საუბარია მამის მიერ შვილის მკვლელობის შესახებ. ჟურნალისტის მიერ იდენტიფიცირებულია მსხვერპლიც და ბრალდებულიც. გამოყენებულია მოკლულის დის კომენტარი, რომელიც ჟურნალისტს სთხოვს, რომ მისი ნათქვამი არ დაბეჭდონ: "ეს ხომ არ უკავშირდება პოლიტიკას, არც სააკაშვილს და არც ივანიშვილს, რაში გაინტერესებთ ამის აფიშირება?! ეს არის მთელი ოჯახის ტრაგედია და არ მინდა მთელმა ქვეყანამ გაიგოს. ხომ მაქვს ამის უფლება? დედაჩემი ვერ აიტანს გაზეთში შვილის სურათის ნახვას-მითხრა გამწარებულმა დამ").

სტატიაში მაინც ხვდება ეს კომენტარი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ მოკლულს 10 წლის შვილი ჰყავს. გამომდინარე იქიდან, რომ მასალაში იდენტიფიცირებულია მამა და ბაბუა, ასევე მათი მისამართი, შვილის იდენტიფიცირებაც ადვილია.

ბავშვის ინტერესები მით უფრო ზარალდება, რომ ჟურნალისტი ცდილობს, მასალით რაც შეიძლება მძიმედ დახატოს მკვლელობის სურათი: "გამწარებული დედის სულისშემძვრელი ხმა", "შემზარავი სურათი დამხვდა-ახალგაზრდა მამაკაცი იატაკზე ეგდო, ირგვლივ სისხლის გუბე იდგა", ასევე, დიდი ასოებით გამოტანილია წარწერა: "ჩვენს ოჯახზე რომ მოგიყვე, ისეთი რაღაცები უნდა გითხრა, არ ვიცი, ეს საშინელება გაზეთში როგორ უნდა დაწეროთ".

აღსანიშნავია ისიც, რომ განაჩენი სტატიის გამოქვეყნების მომენტისთვის არ იყო დამდგარი, ნამდვილად მამამ ჩაიდინა თუ არა მკველობა. 10 წლის მოზარდს კი ამ მასალის გამო, შესაძლოა, მთელი ცხოვრება კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწიოს.

- კიდევ ერთი ტრაგედია, რომელიც ქართულ ბეჭდურ მედიაში, ასევე, ბავშვის უფლებების დარღვევით გაშუქდა. „რატომ მოკლა ყოფილმა სპეცრაზმელმა მეუღლე და 5 წლის შვილი?" - ამ სათაურით გამოაქვეყნა მასალა გაზეთმა „ყველა სიახლე". სტატიაში დასახელებულია სპეცრაზმელის სახელი და გვარი, მისი მეუღლის სახელი, მოკლული ბავშვის სახელი; დაწვრილებითაა მოთხრობილი ოჯახის ისტორია, მითითებულია საცხოვრებელი ადგილი, დედისა და მამის სამსახურის ადგილები; მრავალგზისაა ხაზგასმული, რომ მამაკაცს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა და ორჯერ თვითმკვლელობაც სცადა; მასალას ახლავს სახლის ორი ფოტოსურათი, წარწერით - „სახლი, სადაც მკვლელობა მოხდა"...

ოჯახს კიდევ ორი შვილი ჰყავს, რომლებიც, როგორც ავტორი წერს, იმ მომენტისთვის მოძღვრის სახლში ცხოვრობენ. ამ ზღვა ინფორმაციის მიხედვით, მათი იდენტიფიცირება ადვილზე ადვილია.

იგივე შეცდომას უშვებს ჟურნალი „გზა" („ყოფილი სპეცრაზმელის ტრაგედია"). აქაც დასახელებულია: დედ-მამის სახელები და გვარები, ასაკი, გადაცვლილი ბავშის სახელი და ასაკი, მათი წარმოშობა,

საცხოვრებლის მისამართი, სამსახურები; მოთხრობილია ტრაგედიის დეტალები; მასალას ახლავს მამის ფოტო.

ამ ოჯახის ტრაგედია კიდევ რამდენიმე ჟურნალისა და გაზეთის ყურადღების ცენტრში მოხვდა და ძირითად შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უკვე ზემოხსენებულ გადაცდომას.

დასკვნა

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები მიუთითებს, რომ ბავშვთა საკითხების გაშუქებისას ბავშვთა უფლებებისა და ეთიკური ნორმების დაცვის კუთხით მედიაში მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ჟურნალისტები და რედაქტორები დღეს მეტი სიფრთხილით ეკიდებიან ბავშვებთან დაკავშირებულ თემებს, ვიდრე როდისმე, თუმცა მონიტორინგის შედეგებმა ასევე გამოავლინა, რომ ბავშვის უფლებებისა და ეთიკური ნორმები დარღვევის შემთხვევები კლვავაც გვხდება, კვლავაც პრობლემად რჩება არა მიმდინარე ახალი ამბების, არამედ ისეთი თემების ფართოდ და სიღრმისეულად გაშუქება, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვების კეთილდღეობისთვის და რომელიც გავლენას ახდენს მათ მომავალ ცხოვრებაზე.

რეკომენდაციები

პროექტის ფარგლებში მონიტორინგის შედეგების ანალიზისთვის და შემდგომი რეკომენდაციების შესამუშავებლად ქარტიამ და გაეროს ბავშვთა ფონდმა მოიწვია ექსპერტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ შედეგების საზოგადოებრივ განხილვებში. პროექტის ავტორებისა და მოწვეული ექსპერტების მიერ ანგარიშის დასასრულს მედიისთვის წარმოდგენელია შემდეგი რეკომენდაციები:

- მედიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, ხომ არ არის ბავშვისთვის ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი ფორმით გადმოცემული ინფორმაცია მის შესახებ, მაშინაც კი, თუკი მსგავსი ინფორმაციის ამა თუ იმ ფორმით **გავრცელება** ნაკარნახევია კეთილი მიზნებითა და დახმარების სურვილით.

- ნუ გასცემთ და გაავრცელებთ ისეთ ცნობებს რაიმე პრობლემის მქონე ბავშვის შესახებ, თუკი ეს ცნობები მაყურებელს/მკითხველს არ ან ვერ აძლევს აუცილებელ და ღირებულ ინფორმაციას და არ ცვლის ამბის არსს.
- ჟურნალისტებმა და რედაქტორებმა უნდა გამიჯნონ საკუთარი პასუხისმგებლობა მშობლის ან მეურვის პასუხისმგებლობისგან. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლის ან მეურვის ნებართვა არ უნდა გახდეს გადამწყვეტი ბავშვის/მოზარდის იდენტიფიცირების ან ამა თუ იმ ფორმით საჩვენებლად.
- მედია უნდა ეცადოს, საზოგადოებას მიაწოდოს მეტი და სიღრმისეული ინფორმაცია არა მხოლოდ მიმდინარე ახალ ამბებზე, არამედ იმ თემებსა და პრობლემებზე, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვების კეთილდღეობისთვის და რომელიც გავლენას ახდენს მათ მომავალ ცხოვრებაზე. მედია უნდა ეცადოს ყოველდღიურად წამოწიოს წინ ამგვარი თემები.
- მედიამ გავრცელებამდე განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეისწავლოს ის ოფიციალურ ინფორმაცია და პრესრელიზები, რომელიც ეხება ბავშვებს ან რომელშიც ნახსენებია ბავშვი.
- ჟურნალისტები და რედაქტორები სიფრთხილე უნდა გამოჩინოს ისეთი ამბების გაშუქებისას, რომელიც არა ბავშვთა პრობლემების წამოწევას, არამედ გარკვეული სახელმწიფო სტრუქტურების ან კერძო პირებისა და კომპანიების რეკლამირებას ემსახურება.
- ნუ ჩართავთ ბავშვებს ისეთ სტატიებსა და სიუჟეტებში, ისეთ თემებში, რომელიც თავისთავად არ უკავშირდება და არ ეხება მათ. მაგ: პოლიტიკა.